HTMC-PM-007-V.1.0

პაციენტთან ურთიერთობის შეწყვეტა

2024 წელი

დოკუმენტი	სტანდარტული ოპერაციული პროცედურა
დასახელება	**პაციენტთან ურთიერთობის შეწყვეტა**
დოკუმენტის ნომერი	1.0
მფლობელი	კლინიკური დეპარტამენტები
დანერგვის თარიღი	19.07.24
მომდევნო გადახედვის დრო	07.25
ავტორი	ხარისხის მართვის დეპარტამენტი
დამტკიცებულია	კლინიკური დირექტორი

მიზანი:

ექიმ-პაციენტის ურთიერთობის პროფესიული და ეთიკური წესით შეწყვეტის, პაციენტზე ზრუნვის უწყვეტობის, სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა.

ფარგლები

ეს SOP ვრცელდება კლინიკის მედპერსონალის ყველა წარმომადგენელზე

განმარტებები

- **პაციენტთან ურთიერთობის შეწყვეტა**: კლინიკასა და პაციენტს შორის პროფესიული ურთიერთობის დასრულების პროცესი.
- **პაციენტი**: პირი, რომელიც იღებს სამედიცინო დახმარებას ან მკურნალობას.

პოლიტიკის განაცხადი: პაციენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო კლინიკურ და ეთიკურ საფუძვლებს. ეს შეიძლება განპირობებული იყოს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შეუსაბამო, ხელის შემშლელი, საფრთხის შემცველი ქცევის ან თერაპიული ალიანსის დამყარების შეუძლებლობის საკითხებით.

პროცედურა

პაციენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შესაძლო მიზეზები:

შესაძლებელია პაციენტთან ურთიერთობის შეწყვეტა მხოლოდ არადისკრიმინაციული მიზეზების გამო, სათანადო შეტყობინებით. აქ მოცემულია რამდენიმე ძირითადი მიზეზი, რომლებიც შეიძლება გახდეს ექიმ-პაციენტის ურთიერთობის ნაადრევი დასრულების საფუძველი:

- პაციენტის მხრიდან მკურნალობის გეგმის ან სამედიცინო რჩევების შეუსრულებლობა;
- პაციენტის მხრიდან არასათანადო, ხელის შემშლელი ან საშიში ქცევა;
- ურთიერთნდობასა და ეფექტური კომუნიკაციის დამყარების შეუძლებლობა;
- ექიმის პრაქტიკის ან კლინიკის სამედიცინო სერვისის ფარგლების ცვლილება.

1. მკურნალობის გეგმის ან სამედიცინო რეკომენდაციების შეუსრულებლობა

ეს არის პაციენტთან ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზი. როდესაც პაციენტი მუდმივად არღვევს სამედიცინო რეკომენდაციებს, არ იცავს დანიშულებას ან უარს ამბობს საჭირო მკურნალობაზე, შეიძლება მნიშვნელოვნი საფრთხეები შეექმნას მისი დაავადების გამოსავლიანობას და ხელი შეეშალოს ექიმს ეფექტური მკურნალობის უზრუნველყოფაში. დანიშნულების/რეკომენდაციების შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი მიზეზით, მათ შორის მკურნალობის გეგმის პაციენტისეული აღქმით, როცა პაციენტი არ ეთანხმება ექიმის სტრატეგიას და ცდილობს თვითმკურნალობის ან კლინიკურად მიუღებელი ვარიანტების ძიებას.

2. პაციენტის მხრიდან არასათანადო, ხელის შემშლელი ან საშიში ქცევა.

პაციენტის ქცევა, რომელიც ხელის შემშლელია, შეურაცხმყოფელია ან საფრთხეს უქმნის ექიმს, მედპერსონალს და/ან სხვა პაციენტებს, მოითხოვს ექიმ-პაციენტის ურთიერთობის შეწყვეტას. ეს შეიძლება იყოს სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფიზიკური მუქარა, შევიწროება, სექსუალური/სექსისტური ნიშნის კომენტარები ან მოქმედებები, დანაშაულებრივი ქმედებები, მათ შორის დოკუმენტაციის ფალსიფიცირების, ნარკოტიკების განაწილება და ძალადობის ნებისმიერი ფორმა.

3. ურთიერთნდობასა და ეფექტური კომუნიკაციის დამყარების შეუძლებლობა.

ექიმ-პაციენტთან ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ ეფექტური კომუნიკაციით. ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს, როდესაც ამ კომუნიკაციაში გრძელვადიანი შეფერხებაა ნდობის ნაკლებობის, მრავალჯერადი გაუგებრობების ან დაუსაბუთებელი მოთხოვნების გამო.

4. ექიმის პრაქტიკის ან კლინიკის სამედიცინო სერვისის ფარგლების ცვლილება

თუ ექიმის პრაქტიკის ან კლინიკის მიერ მოწოდებული სერვისის ფარგლები იცვლება, შეიძლება საჭირო გახდეს ზოგიერთი პაციენტის რეფერალი შესაფერის ჯანდაცვის პროვაიდერთან ან სათანადო დაწესებულებაში.

გარემოებები, როდესაც პაციენტთან ურთიერთობა არ უნდა შეწყდეს

არსებობს პაციენტის ურთიერთობის შეწყვეტის აშკარა არასწორი და უკანონო მიზეზები, როგორც ეს განსაზღვრულია პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით: „პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია.“

სხვა სიტუაციები, როდესაც არ არის მიზანშეწონილი პაციენტის ურთიერთობის შეწყვეტა, მოიცავს შემდეგ გარემოებებს:

1. **მწვავე პათოლოგიის მიმდინარე მკურნალობის დროს:** თქვენ არ უნდა შეწყვიტოთ პაციენტთან ურთიერთობა, სანამ მკურნალობთ მწვავე პათოლოგიას. მკურნალობის გადამწყვეტი ფაზის დროს მკურნალობის შეწყვეტა შეიძლება შეფასდეს პაციენტის მიტოვებად და ჰქონდეს სერიოზული სამართლებრივი შედეგები.
2. **აუცილებელი გადაუდებელი დახმარების გაწევა:** თუ პაციენტს გადაუდებელი დახმარება სჭირდება, ექიმს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მიწოდება ურთიერთობის შეწყვეტის სურვილის მიუხედავად. საგანგებო სიტუაციის მოგვარების შემდეგ შესაძლებელია პაციენტთან ურთიერთობის შეწყვეტის განხილვა.
3. **ალტერნატიული ექიმის ხელმიუწვდომლობა:** ექიმებს ეძლევათ რეკომენდაცია, არ შეწყვიტონ პაციენტთან ურთიერთობა, როდესაც სხვა ექიმი ხელმისაწვდომი არ არის. ასეთი სიტუაციების მაგალითია, როდესაც პაციენტს სჭირდება მაღალსპეციალიზებული მოვლა ან სოციუმში გამოცდილი ექიმის დეფიციტია. ასევე არ არის მიზანშეწონილი პაციენტის დათხოვნა, თუ თქვენ ხართ ერთადერთი ხელმისაწვდომი პროვაიდერი, რომელიც დაკავშირებულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან.

დოკუმენტაცია

- ყველა ინციდენტი, რომელიც იწვევს პაციენტთან ურთიერთობის შეწყვეტის გადაწყვეტილებას, დოკუმენტირდება პაციენტის სამედიცინო ბარათში.
- მიუთითეთ თარიღები, პაციენტთან ურთიერთობის დეტალები და პაციენტისთვის მიცემული ნებისმიერი გაფრთხილება.

შეტყობინება

- პაციენტთან ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი განხილულ უნდა იქნეს ეთიკის კომისიის მიერ.
- წერილობით აცნობეთ პაციენტს ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე. ეს წერილი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
    - შეწყვეტის ძალაში შესვლის თარიღი.
    - შეწყვეტის მიზეზები (საჭიროების შემთხვევაში).
    - სამედიცინო ჩანაწერების მიღების ინსტრუქცია.
    - რეკომენდაციები ჯანდაცვის ალტერნატიული პროვაიდერებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- დარწმუნდით, რომ წერილი ხელმოწერილი და დათარიღებულია.

სამედიცინო ზრუნვის უწყვეტობა

- დარწმუნდით, რომ უზრუნველყოფილია სიცოცხლისთვის აუცილებელი სამედიცინო დახმარების უწყეტობა.
- მიეცით პაციენტს ადეკვატური დრო ახალი სამედიცინო პროვაიდერის მოსაძებნად.
- ახალ პროვაიდერს შესთავაზეთ პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციის მიწოდება პაციენტის თანხმობის შესაბამისად.

შემდგომი ურთიერთობა

- ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, არ მიაწოდოთ პაციენტს დამატებითი სამედიცინო რჩევა და არ დაუნიშნოთ მკურნალობა;
- თუ პაციენტი დაუკავშირდა ექიმს ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, შეახსენეთ მათ შეწყვეტილი ურთიერთობის შესახებ და მიუთითეთ, რომ მოიძიოს ალტერნატიული სამედიცინო სერვისი.

სამართლებრივი და ეთიკური მოსაზრებები

- უზრუნველყავით ჯანმრთელობის დაზღვევის პორტაბელურობის, ანგარიშვალდებულების და სხვა შესაბამისი რეგულაციების დაცვა პაციენტის ინფორმაციასა და სამედიცინო ჩანაწერებთან დაკავშირებით.
- გაიარეთ კონსულტაცია იურიდიულ სამსახურთან, თუ გაურკვეველია პაციენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შედეგები და გარემოებები

ძირითადი მოქმედებები:

- რეგულარულად შეაფასეთ ამ SOP-ის ეფექტურობა.
- საჭიროებისამებრ იზრუნეთ გაუმჯობესებაზე.